

18 სექტემბერი
ქართული ჭიდაობის დღე

ნუ დაკარგავთ საუნჯეს



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 179
(7490)

17 1983 წ.
სექტემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

გაიმართება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში

ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა კანონიერად ამაყობს ქართველ მოჭიდავეთა წარმატებებით მსოფლიო ასპარეზზე, რომ ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების სიმრავლით მსოფლიოს ბევრი დიდი ქვეყანაც ვერ გვისწორდება, პირველყოვლისა ქართველი კაცის მიერ შემონახული, შენარჩუნებული და დღემდე მოტანილი ეროვნული სახეობის, ქართული ჭიდაობის მადლია.

ქართულ ჭიდაობას ყოველთვის ალტაცებაში მოჰყავდა, მისი განუმეორებელი, ორიგინალური ილეთები, რაინდული წესები და შინაარსი დღესაც აღაფრთოვანებს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვაგვარი ჭიდაობის სპეციალისტებს.

და რა თქმა უნდა, ჩვენი ვალია, არათუ შევინარჩუნოთ, მომავალ თაობებსაც გადავცეთ სპორტის ამ მშვენიერი ეროვნული სახეობის ყველა საიდუმლოება, მისი სილამაზე და სიკეთე.

ქართული ჭიდაობის დღეც სხვა არაფერია, თუ არა ერის სურვილი — ღირსეულად შეინახოს წინაპართა ნაანდერძევი საუნჯე, რომელსაც მოვლა, თვალის ჩინივით გაფრთხილება უნდა.

ხვალ ეს დღე აღინიშნება მთელ საქართველოში. ქართული ჭიდაობა გაიმართება თბილისში, ცხინვალში, კასპში, საგარეჯოში, გიორგიწმინდაში, ქარელში, გორში, ახმეტაში, ლაგოდეხში, თელავში, ლენტეხში, მესტიაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ქუთაისში, აგრეთვე აჭარასა და აფხაზეთში.

დედაქალაქში დილის 10 საათიდან დაიწყება ამ დღისადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიებები.

დაინტერესებულ მკითხველებს ჭიდაობის მოყვარულთ, თბილისელებს გავაცნობთ ამ ღონისძიებათა კალენდარს.

10 საათიდან ორხევის სპორტული მოედანი — ქართული ჭიდაობა, **ავეჯის სახლი** — შეჯიბრება ძიუდოში, **გლდანის VI მ/რ** — ქართული ჭიდაობა.

11 საათიდან **ავეჯის სახლი** — სიმძიმეების აწევა, **ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკი** — მასობრივი შეჯიბრება, **დიღმის ტყეპარკი** — მასობრივი შეჯიბრებები, **პარტიზანების პარკი** — ქართული ჭიდაობა.

12 საათიდან **რიყე** — შეხვედრა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან შ. მორჩილაძესთან, ნორჩი ფალავნების საჩვენებელი შეხვედრები, ოქტომბრის რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 26 კომისრის რაიონის წარმოება-დაწესებულებების შეჯიბრება ჭიდაობაში. **კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ქართული ჭიდაობა.

14 საათიდან **რიყე** — კიროვის რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში.



საქართველოს ჭაბუკ ფალავანთა წარმატება

3 „ოქრო" ჩიკაგოდან

აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში დამთავრდა 17-18 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს სოხუმელმა **ე. მუხოიანმა** (52 კგ.) და თბილისელმა **ვ. დოლიძემ** (75 კგ.).

კლასიკურ მოჭიდავეთა ტურნირზე ასევე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა თბილისელი ფალავანი **ზ. ივანაშვილი** (87 კგ.).

აღსანიშნავია საბჭოთა ნაკრები გუნდების წარმატება. როგორც თავისუფალ, ასევე კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენმა წარმომადგენლებმა ყველაზე მეტი ქულა (თავისუფალში 51, კლასიკურში 34) მოაგროვეს და უკან ჩამოიტოვეს ყველა სხვა გუნდი.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდიდან ასევე ჩემპიონები გახდნენ: ნ. გარკინი (60 კგ, მახაჩყალა), ნ. მაჰომედოვი (65 კგ, ჰასავიურტა), ა. სინიაგინი (70 კგ, ნოვოსიბირსკი), ი. ოვჩარენკო (81 კგ, კოლომია).

„კლასიკოსთა" შორის ივანაშვილთან ერთად თავი გამოიჩინეს ე. ავაქიანმა (52 კგ, ბაქო), კ. მარტიროსიანმა (56 კგ, ლენინაკანი), ი. ნაუმენკომ (81 კგ, როსტოვი). ვერცხლის მედლები მოიპოვეს ერევნელმა გ. მირზახანიანმა (48 კგ) და ლენინაკანელმა რ. გრიგორიანმა (65 კგ.).

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან) **მსოფლიო ჩემპიონები ჭაბუკთა შორის ე. მუხოიანი, ვ. დოლიძე და ზ. ივანაშვილი.**

● **ჭადრაკი**

ნონა კვლავ იგებს

მადრიდის (ესპანეთი) მახლობელ აგარაკ პლაია დეაროში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 10 მოჭადრაკე მონაწილეობს. კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს მსოფლიოს ექსჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, რომელმაც მომდევნო სამ ტურში (V, VI, VII) დაამარცხა ესპანელი ოსტატები კუელასი, კანევა და საზონათაშორისო ტურნირის მონაწილე გარსია.

7 ტურის შემდეგ ქართველ დიდოსტატს 6,5 ქულა აქვს. მას ქულით ჩამორჩება რუმინელი დიდოსტატი მ. მურეშანი. დიდოსტატ პ. კრამლინგს (შვეცია) 5 ქულა და ერთი (გარსიასთან) თანაბარ მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს.

მადრიდის გაზეთები იუწყებიან, რომ დიდოსტატი გ. კასპაროვი ესპანეთში ჩამოვა 24 სექტემბერს თავის დედასთან ერთად, 25-ში კი მას საზეიმოდ გადასცემენ „საჭადრაკო ოსკარს".

(საქ. ინფ).

ისევ კასპაროვი

იუგოსლავიის ქალაქ გერცეგ-ნოვიში გაიმართა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი ელვისებურ თამაშში ორ წრედ.

შეჯიბრებაში გამოდიოდნენ ამას წინათ ნიკშიჩში დამთავრებული საერთაშორისო ტურნირის რვა მონაწილე და დიდოსტატი ვ. კორჩნოი (შვეიცარია).

კვლავ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა გ. კასპაროვმა —13,5 ქულა 16-დან. ახალგაზრდა დიდოსტატმა ორივე პარტია მოუგო კორჩნოის, რომელიც 10,5 ქულით II ადგილზე გავიდა. III ადგილი ხვდა წილად მ. ტალს — 9,5. მხოლოდ მან შეძლო კასპაროვთან ერთი პარტიის მოგება.

შემდეგ მოდიან ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 8,5, ბ. სპასკი, ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 7-7, დ. საქსი (უნგრეთი) — 6, ბ. ლარსენი (დანია) — 5,5, ბ. ივანოვიჩი (იუგოსლავია) — 3,5.

---

12 საათი დასჭირდა

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ნიკშიჩის (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი, XV ტურის ი. ტიმან-ი. სეირავანის პარტია ორჯერ გადაიდო. მის დამთავრებას 12 საათი დასჭირდა. მეტოქენი მხოლოდ 102-ე სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე.

ტიმანმა 7 ქულით დაამთავრა ტურნირი, სეირავანმა — 6-ით.

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისთვის

მოვლენათა ქრონიკა

1943-1953 წლები

1943 წლის თებერვალში მთამსვლელ მეომართა ოცკაციანი ჯგუფი იალბუზის ფერდობებს უტევდა, რათა იქიდან გერმანელ ფაშისტთა დროშები ჩამოეხსნა. ჯგუფში ჩვენი თანამემამულენი გიორგი სულაქველიძე, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებიც იყვნენ. მთამსვლელებმა მიზანს მიაღწიეს. დროშები ბექნუ ხერგიანმა და ალექსანდრე სიდორენკომ ჩამოიტანეს.

წლეულს, იალბუზზე მოეწყო „ელბრუსიადა-83“, რომელიც კავკასიონის უმაღლესი მწვერვალიდან გერმანელ ფაშისტთა დროშების ჩამოხსნის 40 წლისთავს მიეძღვნა. ამ თარიღის აღსანიშნავად იალბუზს მთამსვლელთა რამდენიმე ჯგუფი უტევდა. მათ შორის ვიყავით თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრებიც.

იალბუზის ფერდობები მოყინული იყო და სარკესავით კრიალებდა. მასზე მხოლოდ სამართებელივით ალესილი წრიაპებით თუ შეიძლებოდა სიარული. ჩვენი ლაშქრობის შემდეგ უფრო ნათელი გახდა იმ მთამსვლელების მამაცობა, რომლებმაც 40 წლის წინათ, 40 გრადუსიან ყინვაში, იალბუზიდან ფაშისტთა შტანდარტები ჩამოხსნეს. მაშინ მთამსვლელთა ინვენტარი და აღჭურვილობა ისეთი არ იყო, როგორიც დღესაა.

კავკასიონიდან მტრის განდევნის შემდეგ საბჭოთა მეომარი მთამსვლელები იბრძოდნენ კარპატის, ტატრების, აღმოსავლეთ ალპების, ბულგარეთისა და იუგოსლავიის მთებში.

დიდმა სამამულო ომმა, ბუნებრივია, ხელი შეუშალა სპორტული ალპინიზმის განვითარებას. თუმცა, მიუხედავად ომისა, მთამსვლელები იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ოსტატობის სრულყოფას. მაგალითად, 1943 წელს ტიან-შანის მწვერვალებზე რამდენიმე ასვლა მოეწყო, იმავე წელს საქართველოს მთამსვლელები ა. ჯაფარიძე, გ. ზურებიანი, ქ. ონიანი, ტ. ჯაფარიძე, გ. რაიზერი და ორჯონიკიძელი ნ. მუხინი თავიანთი დიდი ხნის ოცნების — უშბა-შხელდის მწვერვალთა ტრავერსის განსახორციელებლად გზას გაუდგნენ. პრაქტიკულად ისინი უშბას უკვე ზამთრის პირობებში უტევდნენ. მიუხედავად უამინდობისა, მთამსვლელებმა შეძლეს სამხრეთის მწვერვალზე ასვლა. სამწუხაროდ, მერე სტიქია გამძვინვარდა და 7 დღე-ღამის მანძილზე მწვერვალს შერჩნენ. ბოლოს, ოდნავ რომ გამოიდარა, მშიერ-მწყურვალნი და გათოშილნი უკან დაბრუნდნენ.

1944 წელს მთამსვლელებმა მასობრივი ალპინიადების ჩატარებაც მოახერხეს. ერთი მათგანი გაიმართა დომბაის რაიონში, მასში პროფკავშირების ასკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა. საქართველოს ამდენივე წარმომადგენელი მყინვარწვერზე ავიდა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ, 1945 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები მიენიჭათ სახელგანთქმულ და-ძმა ალექსანდრა და ალექსანდრე ჯაფარიძეებს.

სამწუხაროდ, იმავ წელს ალექსანდრე ჯაფარიძე, ქელეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი უშბა-შხელდის ტრავერსის ცდისას დაიღუპნენ. მათ უშბამ უმუხთლა, მთამსვლელები ზვავში მოყვნენ. ამის მერე საქართველოს ალპურ კლუბს ალიოშა ჯაფარიძის სახელი ეწოდა.

ალიოშა ჯაფარიძის მიერ დაწყებული გზის გაგრძელება ივანე (კაკო) მარმა, ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჰიჰიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა გადაწყვიტეს. ხუთეულმა თავისი ჩანაფიქრი პირველ ცდაზე — 1949 წელს, ვერ განახორციელა. საშინელ ქარიშხალში, შვიდი დღეღამის განმავლობაში შხელდაზე შერჩნენ. ვეღარც წინ მიდიოდნენ, ვეღარც უკან. ბოლოს შხელდის მწვერვალთა ტრავერსიდა გაიარეს. მეორე ზაფხულს კვლავ მიიტანეს იერიში.

იმ ამბავმა, რომ 1944 წელს ფაქტიურად უშბამ შეიწირა გ. რაიზერი, ხოლო 1945 წელს ამავე მწვერვალზე დაიღუპნენ ა. ჯაფარიძე, ონიანი და მუხინი, აგრეთვე იმანაც, რომ ივანე მარის ჯგუფმა წინა წელს ვერ შეძლო შხელდა-უშბის მწვერვალთა ტრავერსის დასრულება, ამ მარშრუტს ფრიად მრისხანე რეპუტაცია დაუმკვიდრა. ყველას გადაეწურა იმედი, რომ ამ ტრავერსის ძირსდაუშვებლად გავლა შესაძლებელი იყო.

და მაინც, მარის ჯგუფმა მიზანს 1950 წელს მიაღწია. ი. მარი ბ. ხერგიანი, გ. ზურებიანი, ჰ. ჩართოლანი და მ. გვარლიანი საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები გახდნენ საქართველოდან.

უშბასა და შხელდის მასივების მწვერვალებზე თუნდაც ცალ-ცალკე ასვლა დღესაც დიდი მიღწევაა, მთელი ტრავერსის გავლა კი — ნამდვილი გმირობა. ამიტომ იყო, რომ მამაცმა ხუთეულმა მთელი მთამსვლელური სამყარო აალაპარაკა.

საინტერესოა, რომ სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი, რომელიც 1949 წელს გაიმართა, მხოლოდ ტექნიკურად რთული ასვლების და ტრავერსების კლასში ჩატარდა. ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ჩემპიონი გახდა „სპარტაკის“ გუნდი, რომელიც ვ. კიზელის მეთაურობით უშბის პლატოდან შხელდის აღმოსავლეთ ქონგურზე აღმოსავლეთის ქედით ავიდა. ტრავერსების კლასში უძლიერესი იყო სპარტაკელთა მეორე გუნდი, რომელსაც ვ. აბალაკოვი მეთაურობდა. მისმა ჯგუფმა ყოშთან-თაუ-დიხ-თაუს ტრავერსი განახორციელა.

1952 წელს ქართველმა მთამსვლელებმა კვლავ გამოიჩინეს თავი. ჩვენმა ორმა ჯგუფმა — საქართველოს ალპური კლუბის წარმომადგენლებმა ტრავერსების კლასში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბ. ხერგიანი, ი. გაბლიანი, მ. გვარლიანი, ბ. ხერგიანი და ჰ. ჩართოლანი, შხარა-თეთნულდის ტრავერსი განახორციელა, ხოლო მეორე გუნდმა ალექსანდრე ნემსიწვერიძის, გრიგოლ გულბანის, რამინ კვიციანის, ჯოკია და სოზარ გუგავების შემადგენლობით გაიარა ქედის მონაკვეთი წერუნგალიდან — თეთნულდამდე.

საბჭოთა ალპინიზმის მესამე ათწლეული საინტერესო იყო იმითაც, რომ 1947 წელს დომბაის ბანში გაიმართა მთამსვლელთა ბანაკების მეკლდეურთა პირველი შეჯიბრება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სპორტის ამ სახეობას. ორი წლის მერე მეკლდეურობაში პროფკავშირული სპორტსაზოგადოების პირველი შეჯიბრებაც ჩატარდა.

მასობრივმა მთამსვლელობამ განსაკუთრებული გაქანება შეიძინა 1948 წელს, როდესაც გაიმართა საიუბილეო ალპინიადა მყინვარწვერზე. მაშინ მწვერვალი საქართველოს 502 სპორტსმენმა დალაშქრა. ახალი ძალით ამოქმედდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთამსვლელთა სექციები.

ამავე ათწლეულში, კერძოდ 1948 წლიდან, დაიწყო მთამსვლელთა ყოველწლიური კრებულის „პობეჟდიონიე ვერშინის“ გამოცემა, რომელმაც დიდად შეუწყო და ახლაც უწყობს ხელს ალპინიზმის პოპულარიზაციას.

ისიც აღსანიშნავია, რომ 1947 წელს, როცა საბჭოთა სახელმწიფოს 30 წლისთავი იყო, ამ თარიღის აღსანიშნავად, ალპინიზმის საკავშირო სექციამ ჩაატარა მთავარი კავკასიონის ქედის გრანდიოზული — 250-კილომეტრიანი ტრავერსი იალბუზიდან მყინვარწვერამდე. ასეთი გრძელი ტრავერსი ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა.

ა. გურასაშვილი,
(საქინფორმი).

• • •

სურათზე: სსრ კავშირის პირველი ქართველი ჩემპიონები — ჰ. ჩართოლანი, კ. მარი, პ. გვარლიანი, ბ. ხერგიანი და გ. ზურებიანი.



მთებს მამაცნი იპყრობენ

ალპინისტთა ეს ბანაკი „აილამა“ რვა წლის წინათ ჩამოაყალიბა რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა, სპორტის ოსტატმა დიმიტრი გუგავამ.

სახელწოდება „აილამა“ ბანაკს კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე 4,5 ათასი მეტრის სიმაღლის მწვერვალის პატივსაცემად დაერქვა. იგი დაიპყრეს ისეთმა ცნობილმა მთამსვლელებმა, როგორებიც არიან მიხეილ ხერგიანი, სერგო ბარიაული, აგრეთვე ბულგარელმა, პოლონელმა, იაპონელმა, ფრანგმა, ჩეხოსლოვაკიელმა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებმა.

მარტო წლეულს „აილამაში“ მოემზადა 300-ზე მეტი სპორტსმენი. ოცდღიანი წვრთნის ციკლის დასრულების შემდეგ ალპინისტებმა მოაწყვეს ასვლა ბანაკთან ახლო მდებარე სამ მაღალ მწვერვალზე.

ბანაკის უფროსი სპორტის ოსტატი, ქვეყნის ექს-ჩემპიონი სოზარ გუგავა, მაშველი რაზმის უფროსი ვაჟა მაჟიტაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე სპორტის ოსტატი ვახტანგ საბანაძე სიამოვნებით უზიარებენ ალპინისტებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: „აილამას“ ბანაკის ხედი კავკასიონის მთავარი ქედის ძირთან; პირველთანრიგოსანი ალპინისტი ბაქოელი ვადიმ მელნიკოვი პროფესიით მათემატიკოსია. მთელ თავისუფალ დროს იგი საყვარელ გატაცებას უთმობს; ძნელად მისადგომი მწვერვალის დაპყრობის შემდეგ.

ე. ეგინოვის ფოტოები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მესხეთის ჭიდაობის წარსულიდან

18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის დღეა

ცამდე ამართული მთის კალთებიდან დღესაც ლამაზად გამოიყურება მესხეთის უძველესი სოფელი ხიზაბავრა.

ხიზაბავრა ოდითგან მესხეთ-ჯავახეთის მოჭიდავეთა ფალავნების კერა ყოფილა. აქ დაიბადა XVII საუკუნის ლეგენდარული გოლიათი მოჭიდავე, უძლეველი ფალავანი, ქართველი ერის სიამაყე გიორგი ველიჯანაშვილი (ფსევდონიმი „ხიზამბარელი“).

1625 წელს ჩვენს სახელოვან მხედართმთავარს გიორგი სააკაძეს ეს გოლიათი ფალავანი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი მამულიშვილი მესხი ხიზამბარელი (1882 წლამდე სოფელი ხიზაბავრა იწოდებოდა ხიზამბარად) ხერთვისის დიდ ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის გიორგი ველიჯანაშვილი ცოლშვილთან ერთად წაუყვანია და თავის მამულში ნოსტეში დაუსახლებია. ფალავანს გვარი შეუცვლია და ხიზამბარელად დამკვიდრებულა. იმ დროიდან დღემდე 358 წლის განმავლობაში, გიორგის შთამომავლებმა — ხიზამბარელებმა თავისი ჭიდაობით არაერთხელ ასახელეს საქართველო.



ხიზაბავრელნი განთქმული მოჭიდავენი ყოფილან: დავითი და გიორგი, როსტომი და გოგია ველიჯანაშვილები, გიორგი ხიზამბარელი, პავლე ტატურაშვილი, დათა ხიზამბარელი, კონსტანტინე ბალარჯიშვილი, ალექსი პაპაშვილი, სტეფანე ქუქჩიშვილი, სიმონ ტატურაშვილი... თავი ისახელეს მძლეთამძლე ქვრივმა ქალმა კატო ველიჯანაშვილმა და გოლიათმა მოჭიდავე ქალმა პაპათ ანამ („ანაბაჯი“).

ხიზაბავრაში ყოფილან დაუმარცხებელი ფალავნები როსტომ ველიჯანაშვილი და დათა დათაშვილი, რომლებიც სტამბოლში საჭიდაოდ წასულან და სულთნის დიდ საჭიდაო მოედანზე თურქი ფალავნები წაუქცევიათ. შინ დიდი ჯილდოებით დაბრუნებულან.

რაკი ძველად ხიზაბავრაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არსებობდა, ამიტომ აქაური ახალგაზრდობის გართობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება ჭიდაობაში შეჯიბრება იყო. კვირა და უქმე დღეებში (განსაკუთრებით თებერვლის პირველი რიცხვებიდან დასასრულამდე) სოფლის შუაგულში, ხუციშვილების კალოზე, უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ვის არ შეხვდებოდით აქ — ხიზაბავრელებსა თუ ახლომახლო სოფლებიდან მოსულ სტუმრებს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. იყო ცეკვა-თამაში, სიმღერა. კალოზე ჭიდაობას იწყებდნენ პატარა ბიჭუნები, ჭაბუკები. მერე გამოჩნდებოდნენ გოლიათი ვაჟკაცები, ფალავნები. ძალების მოსასინჯად აქ ჩამოდიოდნენ შორეული აჭარიდანაც კი — ყველას ეამაყებოდა ხიზაბავრაში გამარჯვება. როდესაც თებერვალი მიიწურებოდა, საჭიდაო მოედანზე გამოდიოდნენ ხანდაზმული, გაჭაღარავებული, უკვე წელში მოხრილი ბერიკაცები, ისინი კიდევ ერთხელ გვიჩვენებდნენ თუ როგორ უნდა უყვარდეს ხიზაბავრელ კაცს ჭიდაობა, ფალავნობა. ბერიკაცების ჭიდაობას დიდი ყიჟინით, ტაშის კვრით და სიხარულით ხვდებოდა ახალგაზრდობა. ისინი ხელში აყვანილს აცილებდნენ საყვარელ და დაუმარცხებელ პაპებს.

მ. ველიჯანაშვილი,
დ. პაპაშვილი,
სოფელ ხიზაბავრის მკვიდრები.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს უძლეველი ფალავანი დავით ხიზაბავრელი. 1874 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის საკლუბო ტურნირები

ოთხშაბათს, ევროპის საკლუბო ტურნირების დღე იყო. საბჭოთა კავშირის ოთხი გუნდი ჩაება ასპარეზობაში ამ დღეს.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მინსკის „დინამომ“ უმასპინძლა ციურიხის „გრასჰოპერსს“ (შვეიცარია). მატჩი მოიგეს დინამოელებმა 1:0. ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა კურნენინმა. მატჩში გაფრთხილებები მიიღეს მინსკელებმა გოცმანოვმა და კურნენინმა, შვეიცარიელებმა შეპულმა და ვერლიმ.

თასების მფლობელთა თასზე დონეცკის „შახტიორმა“ სტუმრად ჩაატარა მატჩი დანიაში ნიუკობინგის „ბ 1901“-თან. სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო და მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს — 5:1. ბურთები გაიტანეს: მოროზოვმა (25-ე და 53-ე წ. წ.), გრაჩოვმა (32, 72) და რადენკომ (43). ერთადერთი საპასუხო ბურთი პენალტით გაიტანა ბეგვადმა (50).

უეფას-ს თასის გათამაშებაში ჩაებნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. ორივე გუნდმა შინ გამართა მატჩი.

სპარტაკელებმა ალმავლობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს 2:0. ბურთი მე-13 წუთზე გაიტანა არგუდიაევმა, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გლადილინმა განამტკიცა სპარტაკელთა გამარჯვება. გაფრთხილებულია ფინელი ეუროპაეუსი.

კიევში ადგილობრივმა „დინამომ“ უმასპინძლა საფრანგეთის „ლავალს“ ფრე (0:0) საკუთარ მინდორზე ევროპულ ტურნირებში წარუმატებლად ითვლება, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დინამოელთა მდიდარი გამოცდილება თავის სიტყვას იტყვის საპასუხო მატჩში. გაფრთხილებულნი არიან ფრანგი სენე და დინამოელი ხლუსი.

ევროპული ტურნირების სხვა მატჩებიდან სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო იტალიურ კლუბ „რომასა“ და შვეციის „გიოტებორგის“ შეხვედრამ. იტალიელებმა სეზონის დაწყების წინ გააძლიერეს გუნდი ბრაზილიელი სერეზოთი. სწორედ ის გახდა შეხვედრის მთავარი მოქმედი პირი. თანამემამულე ფალკაოსთან ერთად სერეზო იტალიელთა ყველა შეტევის სული და გული იყო, ამიტომ იტალიელთა გამარჯვება 3:0 სავსებით ბუნებრივია. ამ ტურნირის ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო ცნობილი ჰოლანდიური კლუბის „აიაქსის“ ნულოვანი ფრე საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“ და ინგლისის „ლივერპულის“ მოკრძალებული გამარჯვება (1:0) დანიის „ოდენსესთან“.

ჩემპიონთა თასი

მეთექვსმეტედფინალი

I ტური

„დინამო“ (მინსკი) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) 1:0.

„რომა“ (იტალია) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 3:0.

„ატლონი“ (ირლანდია) — „სტანდარდი“ (ბელგია) 2:3.

„აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 0:0.

„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) 0:1.

„რაპიდი“ (ავსტრია) —„ნანტი“ (საფრანგეთი) 3:0.

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „ომონია“ (კიპროსი) 3:0.

„ოდენსე“ (დანია) — ლივერპული“ (ინგლისი) 0:1.

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) 3:0.

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ჟენესი“ (ლუქსემბურგი) 4:1.

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ვიკინგი“ (ნორვეგია) 5:1.

„კუუსიუსი“ (ფინეთი) — „დინამო“ (რუმინეთი) 0:1..

„ჰამრუნი“ (მალტა) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 0:3.

„რაბა“ ეტო (უნგრეთი) —„ვიკინგური“ (ისლანდია) 2:1

„ლეხი“ (პოლონეთი) — „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) 2:0.

„ჰამბურგი“ (გფრ) — თავისუფალი იყო.

თასების თასი

მეთექვსმეტედფინალი

I ტური

„ბ 1901“ (დანია) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:5.

„აკრანესი“ (ისლანდია) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 1:2.

„სვაროვსკი-ვაკერი“ (ავსტრია) — „კიოლნი“ (გფრ) 1:0.

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 1:5.

„იუვენტუსი“ (იტალია) — „ლეხია“ (პოლონეთი) 7:0.

„პარალიმნი“ (კიპროსი) — „ბევერენი“ (ბელგია) 2:4.

„დინამო“ (იუგოსლავია) — „პორტო“ (პორტუგალია) 2:1.

„მერსინსპორი“ (თურქეთი) — „სპარტაკი“ (ვარნა, ბულგარეთი) 0:0.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) 1:1.

„სერვეტი“ (შვეიცარია) — „ავენირი“ (ლუქსემბურგი) 4:0.

„ნიიმეგენი“ (ჰოლანდია) —„ბრანი“ (ნორვეგია) 1:1.

„ვალეტა“ (მალტა) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 0:8.

აეკ (საბერძნეთი) — „უიპეშტდოჟა“ (უნგრეთი) 2:0.

„სლიგო“ (ირლანდია) — „ხაკა“ (ფინეთი) 0:1.

„ჰამარბიუ“ (შვეცია) — „ნენტორი“ (ალბანეთი) 4:0.

„გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) 1:2.

უეფა-ს თასი

ოცდამეთორმეტედფინალი

I ტური

„დინამო“ (კიევი) — „ლავალი“ (საფრანგეთი) 0:0.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — ხიკ (ფინეთი) 2:0.

„ბრინი“ (ნორვეგია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 0:3.

„გიმარაეში“ (პორტუგალია) — „ასტონ ვილა“ (ინგლისი) 1:0.

„სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 3:2.

„ციურიჰი“ (შვეიცარია) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 1:4.

„სპარტა“ (ჰოლანდია) — „კოლრეინი“ (ჩრ. ირლანდია) 4:0.

„ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბ 1903“ (დანია) 5:0.

„არისი“ (ლუქსემბურგი) — „აუსტრია“ (ავსტრია) 0:5.

„სევილია“ (ესპანეთი)—„სპორტინგი“ (პორტუგალია) 1:1.

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 4:2.

„კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) — „უოტფორდი“ (ინგლისი) 3:1.

„ვერონა“ (იტალია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 1:0.

„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — გრონინგენი“ (ჰოლანდია) 2:1.

„ლარისა“ (საბერძნეთი)—„ჰონვედი“ (უნგრეთი) 2:0.

„ვიძევი“ (პოლონეთი) — „ელფსბორგი“ (შვეცია) 0:0.

„ვესტმანაეიარი“ (ისლანდია) — „კარლ ცაისი“ (გდრ) 0:0.

„გენტი“ (ბელგია) — „ლანი“ (საფრანგეთი) 1:1.

„ნოტინჰემ ფორესტი“ (ინგლისი) — „ფორვერტსი“ (გდრ) 2:0.

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „ორხუსი“ (დანია) 1:0.

„ვერდერი“ (გფრ) — „მალმიო“ (შვეცია) 1:1.

„დროგხედა“ (ირლანდია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი) 0:6.

„სენტ-მირენი“ (შოტლანდია)— „ფაიენოორდი“ (ჰოლანდია) 0:1.

„ბორდო“ (საფრანგეთი)—„ლოკომოტივი“ (გდრ) 2:3.

„რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — „სენტ-გალენი“ (შვეიცარია) 3:0.

„ანორტოსისი“ (კიპროსი) — „ბავარია“ (გფრ) 0:1.

„სპორტული“ (რუმინეთი) — „შტურმი“ (ავსტრია) 1:2.

„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი)— პაოკ (საბერძნეთი) 1:2.

„შტუტგარტი“ (გფრ)—„ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) 1:1.

„უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) 1:0.

„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)— „ინტერი“ (იტალია) 1:0.

„რაბატი“ (მალტა) — „ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) 0:10.

• • •

ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე მიმდინარე სეზონში გაიმართება მხოლოდ ერთი წრის შეხვედრები — მერვედფინალი. ისინი შედგება 19 ნოემბერს და 2 დეკემბერს. ამავე ვადაში გაიმართება მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები უეფა-ს თასის გათამაშებაზე, ხოლო ამავე გათამაშების მერვედფინალები შედგება 23 ნოემბერს და 7 დეკემბერს.

სამივე ტურნირის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება მომავალი წლის გაზაფხულზე 7 და 21 მარტს, ნახევარფინალები 11 და 25 აპრილს.

ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართება 30 მაისს, თასების მფლობელთა თასის ფინალი 16 მაისს, ხოლო უეფა-ს თასის მფლობელი, როგორც ყოველთვის, გამოირკვევა, 2 მატჩის შედეგების მიხედვით. ეს მატჩები კი შედგება 9 და 23 მაისს.

I ლიგა

15 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა სიმფეროპოლის „ტავრიას“ და დამარცხდა 1:2.

ტურის სხვა შედეგები: „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:1, „დინამო“ (კიროვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დნეპრი“ (მოგილიოვი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 5:2, ასკ (დონის როსტოვი — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:2, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 3:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:2.

სერიოზულად იმკურნალებს

„ბარსელონას“ მწვრთნელმა ლ. მენოტიმ თამაშებიდან გაათავისუფლა მარადონა და საავადმყოფოში მოათავსა იგი. ექიმების აზრით არგენტინელი ფეხბურთელი მეტისმეტად გადაღლილია, თავს იჩენს მრავალრიცხოვანი ტრავმის შედეგები, აგრეთვე ჰეპატიტი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მარადონას ჯანმრთელობას. ერთ-ერთი ექიმის სიტყვით, „ამ 20 წლის ჭაბუკს 60 წლის მოხუცის ხერხემალი აქვს“.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მექსიკის ფეხბურთის მესვეურებმა კარგად უნდა გაართვან თავი მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის საორგანიზაციო პრობლემებს.

რაც შეეხება თვით მექსიკელ ფეხბურთელებს, მათი მდგომარეობა ბევრად უფრო რთული იქნება. გუნდი ახლა ფაქტიურად არ არსებობს, არის მხოლოდ ერთადერთი მოთამაშე — 23 წლის ჰ. სანჩესი, რომელიც მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატში მონაწილეობდა და ახლა მადრიდის „ატლეტიკოში“ გამოდის. ნაკრების ყველა დანარჩენი კანდიდატი შესარჩე[illegible]

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ გუნდის ხელმძღვანელობა მეტად რთული ამოცანის წინაშე დგას, არც ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებები ბრწყინავენ ტალანტებით. ასე, მაგალითად, მსოფლიო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის (20 წლამდე) მექსიკის ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფშივე იწვნია მარცხი ავსტრალიის ნაკრებთან.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

ფეხბურთი - 83

ფეხბურთი - 83

ფეხბურთი - 83

მკაცრი რეგლამენტით

შარშან 22 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როცა სსრ კავშირის 50-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თვით მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვს მოუგო. ამ ტურნირში ნიჭიერი ოსტატის თამაშმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა და იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს.

და აი, აგვისტოში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები (დიდოსტატები ა. იუსუპოვი, ლ. ფსახისი, ს. დოლმატოვი, ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი, სათადარიგონი საერთაშორისო ოსტატები ს. ლპუტიანი და ი. ელვესტი) ჩიკაგოში (აშშ) გაემგზავრა ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. როგორც იცით, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ბრწყინვალე თამაშით ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

ორიოდე დღის წინ ზ. აზმაიფარაშვილი რედაქციაში გვესტუმრა და ჩემპიონატის პერიპეტიებზე გვიამბო.

გთავაზობთ ახალგაზრდა ოსტატის ნაამბობს.

— ჩიკაგოში, სადაც 21 აგვისტოს ჩავფრინდით, სასპარეზოდ 28 ქვეყნის 30 გუნდის წარმომადგენელი შეიკრიბა. ყველანი ჩიკაგოს უნივერსიტეტის საერთაშორისო სახლში დავბინავდით. შეჯიბრებაც აქვე, დიდ დარბაზში მიმდინარეობდა.

მასპინძლები მოჭადრაკეებს გულთბილად შეხვდნენ. ტურნირზე ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა, კეთილი განწყობილება სუფევდა. ყურადღება არავის გვაკლდა.

საზეიმო გახსნას აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტიც დაესწრო. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით თერთმეტ ტურად ჩატარდა. რეგლამენტი ძალიან მკაცრი გვქონდა. ტურის პარტიას 1-დან 6 საათამდე ვთამაშობდით. ორსაათიანი შესვენების შემდეგ გადადებულ პარტიას ვამთავრებდით. თუ პარტია მაინც დაუმთავრებელი დარჩებოდა, მაშინ მას მეორე დღეს დილით 10-დან 12-მდე ვაგრძელებდით. ბუნებრივია, ყველა ცდილობდა, არ მოეტოვებინა ასეთი პარტია.

სასპარეზოდ საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. მაგალითად, ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა ჩინეთის ნაკრებმა, რომლის ლიდერმა ლიმ იუსუპოვსაც კი მოუგო. ჭეშმარიტად ახალგაზრდული იყო ისლანდიის გუნდი, რომელმაც სტარტზევე გამოიჩინა თავი.

I ტურში ადვილად დავამარცხეთ გვატემალის ნაკრები — 4:0. პარტია მეც მოვიგე. მეორე დღეს წარმატებით დავძლიეთ შვეიცარიის მოჭადრაკეთა წინააღმდეგობა — 3,5:0,5. III ტურში ისლანდიის გუნდთან ოთხივე პარტია ყაიმით დამთავრდა. მე და ელვესტს, როგორც იტყვიან, ბედმა არ გაგვიღიმა. ეტლების უკეთეს ენდშპილში ხელიდან გავუშვით მოგების რეალური შანსი. ამ მატჩის შემდეგ ჩვენ და ისლანდიელები დავწინაურდით.

IV ტურში მოვუგეთ ჩინეთის გუნდს — 2,5:1,5, და წინ გავედით, ლიდერობა შემდეგაც აღარავისთვის დაგვითმია.

V ტურში დავამარცხეთ აშშ-ის, VI-ში — გფრ-ის, VII-ში — ინგლისის და VIII-ში — ფინეთის ნაკრები. ყველანი ერთნაირი ანგარიშით 3:1. მე ოთხივე მატჩში ვმონაწილეობდი და 3,5 ქულა დავაგროვე. ყაიმით დავამთავრე შეხვედრა ინგლისელებთან მატჩში. სამაგიეროდ, დავამარცხე ცნობილი გერმანელი ოსტატი კინდერმანი და ამერიკელი ოსტატი როდე.

აი, პარტია როდესთან, რომელშიც, ჩემი აზრით, დამაჯერებლად გამოვიყენე მცირე პოზიციური უპირატესობა.

როდე—აზმაიფარაშვილი

უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 g6 3. მf3 კg7 4. კc4 c6 5. კb3 მf6 6. ლe2 e5 7. d×e5 d×e5 8. 0—0 ლe7 9. კg5 მbd7 10. მbd2 მc5 11. მc4 კg4 12. h3 კ×f3 13. ლ×f3 0—0 14. ეad1 h6! 15 კ×f6 კ×f6 16. ეd6 მფg7 17. ეfd1 ეad8 18. ე×d8 ე×d8 19. c3 ე×d1+ 20. კ×d1.



20. ... b5! 21. მe3 ლd6 22. კc2 a5 23. ლe2 კg5 24. g3 h5! 25.h4 კh6 26. ლd1?! ლe6 27. მg2?! ლ×a2 28. ლd6 ლ×b2 29. ლ×e5+ მფg8 30. ლ×c5 ლ×c2 31. ლ×c6 a4! 32. ლe8+ მფg7! 33. ლ×b5 a3 34. ლe5+ მფh7 35. ლd5 a2. თეთრები დანებდნენ.

ჩვენმა ნაკრებმა ფინიშზეც ძლიერად ითამაშა. IX ტურში საფრანგეთის გუნდს მოვუგეთ — 4:0, X ტურში ავსტრიელები დავამარცხეთ — 3:1, XI ტურში ასეთივე ანგარიშით ვძლიეთ შოტლანდიელებს. მე მოვუგე ავსტრიელ ოსტატს და დავუზავდი შოტლანდიელს.

საბჭოთა ნაკრებმა 34 ქულით I ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. II-III ადგილები გაიყვეს გფრ-ის და ისლანდიის მოჭადრაკეებმა —28-28, მაგრამ II ადგილი გერმანელთა გუნდს მიეკუთვნა, რადგან სხვა მაჩვენებლებით მეტოქეზე წინ იყო. აშშ-ს ნაკრებმა 26 ქულით IV ადგილი დაიკავა.

გფრ-ის ნაკრების წარმატება არ იყო მოულოდნელი. სწორედ ეს გუნდი მონაწილეობდა ამას წინათ ევროპის ვაჟთა გუნდურ პირველობაში (ბულგარეთში). აშშ-ს მოჭადრაკეთაგან ყველა მეტს მოელოდა.

ამრიგად, მე 8 მატჩში მივიღე მონაწილეობა და 6,5 ქულა დავაგროვე. აი, თანაგუნდელების შედეგებიც: იუსუპოვი — 8-დან 5 ქულა, ფსახისი — 7-დან 6, დოლმატოვი — 8-დან 6, ლპუტიანი 7-დან 6,5, ელვესტი 6-დან 4. ფსახისმა, დოლმატოვმა, ლპუტიანმა და მე ჩვენს დაფებზე I ადგილები დავიკავეთ.

შეჯიბრების დროს ორი დასვენების დღე გვქონდა. ერთ დღეს ჩიკაგოს ვეცნობოდით. მეორე აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის ოჯახში გავატარეთ. მან საბჭოთა და აშშ-ს გუნდები ჭიქა ყავაზე მიიწვია. მეგობრულად ვსაუბრობდით. ყველამ დაგმო ფიდე-ს პრეზიდენტის კამპომანესის ნაჩქარევი გადაწყვეტილება პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების გამართვის თაობაზე, დასკვნა ერთსულოვანი იყო: მოჭადრაკეთა დავა უძლიერესის სახელისთვის მხოლოდ ჭადრაკის დაფასთან უნდა გადაწყდეს. გამოითქვა სურვილი მომავალში შედგეს საბჭოთა და ამერიკელი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მატჩები. ამერიკული ფეხბურთიც ვითამაშეთ. ყველას მოაწონა თავი სუმბატ ლპუტიანმა და მას ბურთი უსახსოვრეს.

ჩემპიონატის დახურვაზე საბჭოთა ნაკრებს ჩემპიონის თასი გადაეცა. 4 სექტემბერს კი სამშობლოში გამოვემგზავრეთ.

ჩემი უახლოესი გეგმები ასეთია: 18 სექტემბრიდან მონაწილეობას მივიღებ სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალში, რომელიც ქალაქ ვოლგოდონსკში გაიმართება.

ნაუბარი ჩაიწერა
თ. გიორგაძემ.

• • •

სურათზე: ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატების წინ

ჭიდაობა-83

სულ რამდენიმე დღე დარჩა მსოფლიოს 1983 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატების დაწყებამდე თავისუფალ, კლასიკურ და ჭიდაობა სამბოში, რომელიც კიევის სპორტის სასახლეში აიღებს სტარტს. 23 სექტემბრიდან უკრაინის დედაქალაქის 8 ხალიჩაზე ბრძოლაში ჩაებმებიან კლასიკური სტილის მოჭიდავეები. 27 სექტემბერს ხალიჩაზე გამოვლენ თავისუფალი, ხოლო 1 ოქტომბერს დაიწყება სამბისტთა პაექრობა. დასასრულ, 11-14 ოქტომბერს მოსკოვში, ლუჟნიკების სპორტის სასახლე უმასპინძლებს ჩვენი პლანეტის ძიუდოს აღიარებულ ოსტატთა მსოფლიოს კიდევ ერთ ჩემპიონატს.

ამ გრანდიოზულ ასპარეზობათა წინ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავანთა მზადების უკანასკნელი ეტაპი იყო სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა. სწორედ მოსკოვის ფეხბურთისა და მძლეოსნობის კომპლექსის ხალიჩებზე გამართულ ასპარეზობათა შემდეგ გამოვლინდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები ჭიდაობის სამ სახეობაში. სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელებმა მინსკის მახლობლად, სტაიკის ოლიმპიური ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მოუხმეს ყველა რესპუბლიკის უძლიერეს მოჭიდავეებს. იმათ შორის, ვინც, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება დაიცვან მსოფლიოს პირველობაზე, საკმაო რაოდენობით არიან ქართველი ფალავნებიც.

ოლიმპიურ საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან საქართველოს კლასიკური ჭიდაობის წარმომადგენლები — მსოფლიოს ჩემპიონი და ხალხთა VIII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, რუსთაველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თემურ ყაზარაშვილი (48 კილოგრამი), მსოფლიო ჩემპიონი და 1983 წლის სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ქუთაისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი თემურ აფხაზავა (82 კილოგრამი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ სალაძე და ბათუმელი სპორტის ოსტატი უშანგი თევდორაძე (ორივე 100 კილოგრამი), აგრეთვე ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი, თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ავთანდილ მაისურაძე. ტრავმების გამო საწვრთნელ შეკრებას ვერ გადიან — პ. ყუბუსიძე (82 კილოგრამი), დ. ლატარია (74 კილოგრამი) და გ. მაჭარაშვილი (62 კილოგრამი). როგორც ოლიმპიური საწვრთნელი ცენტრიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ოთხგზის და მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **რომან რურუამ** გვაცნობა, კიევის ხალიჩაზე გამოსვლის რეალური შესაძლებლობა აქვთ ყაზარაშვილს და აფხაზავას. ამ უკანასკნელმა, როგორც ვიცით, ხალხთა სპარტაკიადაზე მოსკოვში ქულებით წააგო მოსკოველ ოლიმპიურ ჩემპიონ, 34 წლის გ. კორბანთან. სტაიკას საწვრთნელ ბაზაზე ქუთაისელმა ფალავანმა დამაჯერებლად მოუგო თავის № 1 მეტოქეს. ეჭვი არაა, რომ ნაკრების მწვრთნელები კიევში აფხაზავას გამოიყვანენ. ქვემძიმე წონაში მ. სალაძემ უნდა დაუმტკიცოს ნაკრების მწვრთნელებს, რომ იგი მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონ ნ. ბალბოშინზე ძლიერია, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. მოსკოვში სალაძე დამარცხდა თავის ძირითად მეტოქესთან.

მძიმე წონაში ძირითადი დავა ა. მაისურაძესა და ხალხთა VIII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორს, მოსკოვის საერთაშორისო ოსტატს, 34 წლის ე. არტუხინს შორის მიმდინარეობს. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ბლაგიძეს ჯერ კიდევ არ მოუშუშებია მკლავის ტრავმა და, გასაგებია, რომ იგი არაა გამოძახებული შეკრებაზე.

საკმაოდ წარმომადგენლობითია ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილის ფალავნები აღნიშნულ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. მათ შორის არიან ზურაბ წოწორია (48 კგ), ხალხთა VIII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ეგია მუსოიანი (52 კგ). აქვე დავძენთ, რომ ამ ორი სოხუმელი მოჭიდავისაგან ქვეყნის № 1 გუნდში გამოსვლის დიდი შანსი ამ უკანასკნელს უფრო აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მან სტაიკაშიც ისე იჭიდავა, როგორც მოსკოვსა და ჩიკაგოში. 62 კგ წონაში ძალებს ცდის თბილისელი ზურაბ ტატუაშვილი, ხოლო 68 კგ-ში კიევის საგზურისათვის ხალხთა VIII სპარტაკიადისა და მსოფლიოს ჩემპიონს მ. ხარაჩურას ებრძვის სსრ კავშირის ექსჩემპიონი, თბილისელი საერთაშორისო ოსტატი დავით გიგაური. გამოცდილი თბილისელი საერთაშორისო ოსტატი გიორგი მაკასარაშვილი და მისი ახალგაზრდა თანაქალაქელი ავთანდილ გოგოლიშვილი პრეტენზიას აცხადებენ 82 კილოგრამ წონაში.

მომდევნო 90 კგ წონაში მამუკა რაზმაძე და მამუკა ხურციძე იბრძვიან. რაც შეეხება 74 კილოგრამ წონას, აქ მწვრთნელებმა უპირატესობა მიანიჭეს VIII სპარტაკიადის ჩემპიონს, მოსკოველ სპორტის ოსტატ ა. მამიაშვილს. ძალიან დიდია კონკურსი ქვემძიმე წონაში. ჩვენი რესპუბლიკიდან აქ ძალას ცდიან სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გიორგი ყურაშვილი (სულ ახლახან კიროვაკანში გამართულ ალი ალიევისადმი მიძღვნილი საკმაოდ მოზრდილ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა), მსოფლიო ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და იუნიორებს შორის, თბილისელი ოსტატი ლერი ხაბელოვი (მან წონა მოიმატა) და თბილისელი გია გალდავა. მძიმე წონით კატეგორიაში სპარტაკიადის მეორე პრიზიორი ჯემალ ტარიელაძე და კიროვაკანის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული დავით გობეჯიშვილი. აქ როგორც ჩანს, ნაკრების მწვრთნელები უპირატესობას მოსკოველ მძიმეწონოსანს, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს ს. ხასიმიკოვს მიაკუთვნებენ.





შედარებით ნაკლები კანდიდატი გვყავს ოდესღაც ჩვენში ისეთ პოპულარულ ჭიდაობაში, როგორიც არის სამბო. მათი რიცხვი სულ სამია. ეს გახლავთ სპარტაკიადის II პრიზიორი, სოხუმელი სერგეი ტერნოვიხი (52 კგ). უმჩატეს წონაში თავის კანონიერ პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს თასის მფლობელი და სპარტაკიადის მეორე პრიზიორი, თბილისელი საერთაშორისო ოსტატი იოსებ როსტიაშვილი. ამავე წონაში იბრძვის მარტყოფელი ოსტატი ვაჟა მინესაშვილი.

* * *

მართალია ძიუდოისტთა მსოფლიო ფორუმი ყველაზე ბოლოს გაიმართება, მაგრამ მოჭიდავეებმა პირველი საწვრთნელი შეკრება უკვე გაიარეს კისლოვოდსკში. აი რა გვიამბო ამ შეკრების მონაწილემ, თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **დავით ბოდაველმა**: „ნაკრების კანდიდატთა შორის ჩემს გარდა კისლოვოდსკში იყვნენ — ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი (იგი 78 კილოგრამ წონაში გამოდის), სპარტაკიადის ჩემპიონი თამაზ ნამგალაური (71 კგ.), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი თემურ ხუბულური და სპარტაკიადის მეორე პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბორის გოგიჩაშვილი (ორივე — 95 კილოგრამი), 65 კილოგრამ წონაში კისლოვოდსკის ტატამზე გამოდიოდა რამაზ მარგველანი, რომელიც VIII სარტაკიადის ვერცხლის პრიზიორია. სულ მალე ძიუდოისტები რიგით მეორე შეკრებას გამართავენ და მათ შეუერთდებიან მოსკოვის სპარტაკიადის ჩემპიონი აბსოლუტურ წონაში, თბილისელი მალხაზ ბერუაშვილი და 20 წლის ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძე (მძიმე წონა).

კიევის ჩემპიონატების სამსაჯოდ მიწვეულნი არიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები: ანზორ გვიმრაძე, ჯუმბერ დავლიანიძე, ავთანდილ კუხიანიძე. ისინი კლასიკურ და თავისუფალი სტილის პაექრობებს მოემსახურებიან, ხოლო რაფაელ მარქაროვი (თბილისი). რომელიც საკავშირო კატეგორიის არბიტრია, კლასიკოსთა ტურნირზე იმსაჯებს. სამბისტთა ჩემპიონატზე მოწვეულია ექსტრა კლასის თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შოთა ზუკაკიშვილი.

შ. ქირია.

ახმეტელი მოსწავლეები „იმედის სტარტების“ ლაურეატები

ტუაფსეს პიონერთა ბანაკ „ორლიონოკში“ ორი კვირა ენთო რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში გამარჯვებული კლასების VII საკავშირო ფინალური შეჯიბრების ცეცხლი. „იმედის სტარტები“, როგორც ტრადიციულად ეწოდება ამ შეჯიბრებას, სპორტის დაუვიწყარ დღესასწაულად შემორჩა ბავშვების მეხსიერებას. ფინალის მონაწილეებმა აჩვენეს ნამდვილი სპორტული წრთობა და გამძლეობა, მეგობრობა და კოლექტივიზმი, მუდმივი მზადყოფნა შრომისთვის.

გამარჯვებულ გუნდებს შორის არიან ახმეტელი მოსწავლეები, რომლებიც სოფლის კლასებს შორის „იმედის სტარტების“ საკავშირო ფინალის ლაურეატები გახდნენ. პირად შეჯიბრებაში თავი ისახელა ახმეტელმა გიორგი შაშვიაშვილმა, რომელმაც ბურთის ტყორცნაში ამ შეჯიბრებათა რეკორდი დაამყარა.

დიახ, დიდი ისტორია აქვს!

არც ისე დიდი ხნის წინ ბადმინტონის ყველაზე ძველ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა 1920 წლის პუბლიკაცია. აქ ლაპარაკი იყო ამ თამაშის წესებზე, რომლებიც შემდეგში ბანდმინტონის საერთაშორისო ფედერაციამ აღიარა.

...ამას წინათ ინგლისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი თამაშის წესები, რომელიც არაფრით განსხვავდება თანამედროვე ბადმინტონისგან. ხელნაწერი თარიღდება... 1078 წლით!

კონტრაქტი 3 თვით

37 წლის ჯორჯ ბესტსა და შოტლანდიურ კლუბ „ბარბიკენს“ განხეთქილება მოუვიდათ: ბესტი სისტემატურად თვრებოდა, ამიტომ კლუბმა მასთან ნაადრევად დაარღვია ხელშეკრულება.

— მე ახლა მხოლოდ სამი თვით ვდებ ხელშეკრულებას, — განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს მას შემდეგ, რაც ავსტრალიის „ბრისბენ ლაიონსში“ გადავიდა. — ამ ხნის განმავლობაში საჭიროა მაყურებლების გულის მოგება, სანამ ისევ თრობას მივცემ თავს.

ოლიმპიური ფილატელია

პირველი საფოსტო მარკები, რომლებიც 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება, გამოვიდა არა აშშ-ში, რომელიც ამ შეჯიბრების მასპინძელია, არამედ ცენტრალურ აფრიკულ რესპუბლიკაში, ჩადსა და მალიში.

რაც შეეხება 1984 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, მარკები მის შესახებ გამოვიდა არა მარტო იუგოსლავიაში (შეჯიბრების ორგანიზატორი) არამედ აგრეთვე მონღოლეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

განთიადელთა სპარტაკიადა

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „განთიადის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს XII სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ვიბრომანქანის“ ქარხნის სპორტსმენებმა. მათ I ადგილი დაიკავეს მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ტყვიის სროლასა და ბაგირის გადაძალვაში. II ადგილი წილად ხვდა „ემალსადენს“, რომელიც უძლიერესი იყო შაშში, ფეხბურთსა და ფრენბურთში (ვაჟები), III ადგილზეა ხე-ტყის კომბინატის კოლექტივი (გაიმარჯვეს ვაჟ კალათბურთელთა შეჯიბრებაში).

ვ. მელქოევი,
(„ლელოს“ კორ.).

კლასიკურ სახეობებში

თბილისში სახელმწიფო იპოდრომზე დამთავრდა ქალაქის ჩემპიონატი ცხენოსნობაში ჭაბუკ და იუნიორ სპორტსმენთა შორის. პროგრამაში იყო ცხენოსნობის კლასიკური სახეობები.

დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ პირველი ადგილი დაიკავა ი. ჭაფოძემ ცხენ „ნაივნაიაზე“. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს შესაბამისად ვ. ალმამედოვმა და ვ. გაჩეჩილაძემ (ყველა — თბილისის ცხენოსნობის სპორტული ბაზა). კონკურში „ამორჩევითი“ საუკეთესო იყო ალმამედოვი. ორჭიდელთა შორის (სამანეჟო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა) პირველობა მოიპოვა ამავე ბაზის წარმომადგენელმა ვ. მერკვილაძემ (ცხენი „დრაგუნი“). მეორე ადგილზე გავიდა რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის სპორტული სკოლის მოსწავლე გ. ტატანაშვილი. კარგად გამოვიდა ამ სკოლის მოსწავლე გოგონაც ს. გორგაძე (ცხენი „მერკური“), რომელმაც სამი პირველი ადგილი დაიკავა.

ნ. სიჟინავა.



გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ვახტანგ ფეტვიაშვილის ოჯახს ბევრი თბილისელი იცნობს. ვახტანგი დიდხანს იყო თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის კაპიტანი, ადრე ჭიდაობდა, კრივში და ხელბურთშიც გამოსულა სარბიელზე. სპორტის სიყვარული მან თავისი ოჯახის წევრებსაც ჩაუნერგა. რუსუდანს, გიორგის, მარიამსა და დიმიტრის მამასთან და დედასთან — მანანა აბრამიშვილთან ერთად ხშირად ნახავთ ტურისტულ ბილიკებზე.

• • •

ჯ. კახრაძის ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 74)

18 სექტემბერს
რეგბი

საბჭოთა კავშირის პირველობა
(უმაღლესი ლიგა)
„ლოკომოტივი“ (თბილისი)
„სლავა“ — (მოსკოვი)
დასაწყისი 17 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07768